საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ)

დადგენილება №1

2002 წლის 4 თებერვალი

ქ. თბილისი

„სს „აზოტისთვის“ ელექტროენერგიის მიწოდების და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 18 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის წერილისა და კომპანია „იტერას“, სს „საქგაზს“, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ შორის 2001 წლის დეკემბრის თვეში გაფორმებული ოთხმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც სს „აზოტისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდებას განახორციელებს სს „საქგაზი“, ნაცვლად 2001 წლის 15 მაისის შეთანხმებით გათვალისწინებული კომპანია „იტერასი“. „ელეტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, კომისია **ადგენს:**

1. სს „აზოტისათვის“ ელექტროენერგიის მიწოდების და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 18 ივლისის №7 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლში სიტყვები „კომპანია „იტერას“ შეიცვალოს სიტყვებით „სს „საქგაზის“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2001 წლის 27 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

თავმჯდომარე **ელ. ერისთავი**